“ტორპედო” (მოსკოვი) – “დინამო” (თბილისი)

მოსკოვი. (ტელეგრაფით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან).

25 ივლისს თბილისის “დინამოს” ფეხბურთელები მორიგ კალენდარულ მატჩში შეხვდნენ დედაქალაქის “ტორპედოს”. მატჩი დაიწყო თბილისელთა ენერგიული იერიშებით. მოსკოველთა კართან განუწყვეტლივ იქმნებოდა სახიფათო მომენტები, ხოლო ტორპედოელთა საპასუხო იერიშებს “დინამოს” მცველები წარმატებით უმკლავდებოდნენ. თბილისელთა ერთ–ერთი იერიშისას ხასაიას ზუსტი გადაცემით კართან გაჰყავს ღოღობერიძე, რომელიც ლამაზი დარტყმით ხსნის ანგარიშს – 1:0. შემდეგ დინამოელებმა გაითამაშეს სწრაფი კომბინაცია (თოდრია–ხასაია–ღოღობერიძე), მაგრამ ბურთი აცდა კარს. მალე კოტრიკაძე გამარჯვებული გამოვიდა მცველთან ბრძოლაში და მოწინააღმდეგის კარში გაიტანა მეორე ბურთი. გუნდები შესვენებაზე წავიდნენ ანგარიშით 2:0 თბილისელთა სასარგებლოდ.

მეორე ტაიმი ცვალებადი უპირატესობით დაიწყო, მაგრამ მოსკოველებმა თანდათან ხელთ აიღეს ინიციატივა. პირველი საპასუხო ბურთი შორი მანძილიდან გაიტანა ტორპედოელმა სინიაკოვმა. ამის შემდეგ მოედანს მთლიანად დაეპატრონენ მოსკოველები, რომლებიც თითქმის არ ცილდებიან მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანს. “დინამოს” თავდამსხმელებმა შეანელეს ტემპი, ისინი მეტწილად კარგავენ ბურთს, იბრძვიან არასაკმაო ენერგიით, რის გამოც მცველებს მძიმე დატვირთვა დააწვა. თამაშის 83–ე წუთზე თბილისის კართან მრავალმა მოთამაშემ მოიყარა თავი. “ტორპედოს” ცენტრალურმა თავდამსხმელმა სტრელცოვმა ისარგებლა მდგომარეობით და მეორე ბურთი გაიტანა.

მატჩი დამთავრდა ფრედ – 2:2.

“ლელო”, 28 ივლისი, 1954 წ.